საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ“

2021 წელი

სარჩევი

შესავალი....3

დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებული საქმეები....3

სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებების შეფასება....4

არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებული საქმეები....7

სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებების შეფასება....8

,,მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ'' 12

სახელმწიფოს მიერ გატარებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებების შეფასება....12

,,ამირიძე საქართველოს წინააღმდეგ'' 14

სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებების შეფასება....14

„ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" 15

სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებების შეფასება....16

რეკომენდაციები:....17

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სპეციალურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს ალტერნატიულ შეფასებებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ.

ანგარიში მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 175-ე მუხლის თანახმად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების პროცესზე საპარლამენტო კონტროლის უზრუნველსაყოფად იუსტიციის სამინისტრო პარლამენტს ყოველწლიურად წარუდგენს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ ანგარიშს.

საქართველოს სახალხო დამცველი, როგორც ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის „გადაწყვეტილებებისა და მორიგების პირობების აღსრულების წესების" მე-9 წესის თანახმად, უფლებამოსილია მინისტრთა კომიტეტს მიაწოდოს ინფორმაცია (კომუნიკაციის სახით) ამა თუ იმ გადაწყვეტილების აღსრულების მდგომარეობის თაობაზე. ამ უფლებამოსილებას სახალხო დამცველი აქტიურად იყენებს და ბოლო 5 წლის განმავლობაში 16 კომუნიკაცია აქვს წარდგენილი მინისტრთა კომიტეტის წინაშე.

ისევე როგორც გასულ 2020 წელს,[1] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 175-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი მოცემული ალტერნატიული ანგარიშით საქართველოს პარლამენტს წელსაც წარუდგენს ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ მოსაზრებებს შემდეგ საქმეებთან მიმართებით: „ცინცაბაძის ჯგუფი", „იდენტობის ჯგუფი", „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ", ,,ამირიძე საქართველოს წინააღმდეგ'' და ,,მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ''. აღნიშნული საქმეები შესწავლილი და დამუშავებული აქვს სახალხო დამცველს და მათზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციას პერიოდულად წარუდგენს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს. ანგარიში ასევე შეიცავს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ზემოაღნიშნული საქმეების აღსრულების მიზნით განსახორციელებელ ზომებთან დაკავშირებით.

[1] სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ, 2020. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3kzrbSP > ბოლოს ნანახია [23.09.2021].

დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებული საქმეები

„იდენტობის საქმეების ჯგუფში" გაერთიანებულია დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეები. ამ ჯგუფში შედის საქართველოს მიმართ გამოტანილი 5 საქმე.[2] მათგან ორ საქმეზე მინისტრთა კომიტეტმა გასული წლის ოქტომბერში მიიღო საბოლოო რეზოლუცია,[3] კერძოდ, საქმეებზე – „ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" და „ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" ზედამხედველობა დასრულებულად მიიჩნია ინდივიდუალური ღონისძიებების აღსრულების ნაწილში. რეზოლუციის თანახმად, აღნიშნულ საქმეებში ყველა სავარაუდო დანაშაულთან მიმართებით გასულია სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა, რაც გამორიცხავს გამოძიების და დევნის დაწყების შესაძლებლობას, ხოლო მომჩივანთათვის გადასახდელი კომპენსაციის ნაწილში კი სახელმწიფომ აღასრულა სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულება. რაც შეეხება ზოგადი ღონისძიებების აღსრულებას საქმეებში - "ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" და "ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" მინისტრთა კომიტეტი ზედამხედველობას აგრძელებს "იდენტობის" ჯგუფის საქმეების ფარგლებში.

იდენტობის ჯგუფის საქმეებთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ბოლო შუალედური გადაწყვეტილება 2020 წლის 29 სექტემბრის და 1-ლი ოქტომბრის განხილვების შედეგად, 1383-ე სხდომაზე მიიღო.[4] გადაწყვეტილებაში მინისტრთა კომიტეტმა დადებითად შეაფასა შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის მიმართულებით სპეციალიზებულ პროკურორთა და გამომძიებელთა ინსტიტუტის შექმნა და ასევე, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საშუალებით მოწმისა და დაზარალებულის დაცვისა და მხარდაჭერის გაძლიერება, პრიორიტეტულად სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით; ასევე, ინტერესით აღნიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის მანდატის გაფართოება - ზედამხედველობა განახორციელოს გამოძიების ეფექტურობაზე, მათ შორის სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით; დადებითად შეაფასა პროკურორების, გამომძიებლებისა და მოსამართლეებისთვის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ჩატარებული ტრენინგები და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით 2018-2019 წლების სტატისტიკური მონაცემები.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მინისტრთა კომიტეტმა შეშფოთებით მიუთითა სახალხო დამცველის დისკრიმინაციის შესახებ 2019 წლის ანგარიშსა და არასამთავრობო ორგანიზაციების კომუნიკაციებზე, სადაც ხაზგასმულია, რომ სექსუალური

---

[2] იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება, საჩივარი N 73235/12; გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და 4 სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ, 2007 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება, საჩივარი N 71156/01; ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2014 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საჩივარი N 28490/02; ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2017 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება, საჩივარი N 18766/04; აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ,, 2020 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საჩივარი № 7224/11.

[3] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tMTG1x >ბოლოს ნანახია [23.04.2021].

[4] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XGMSHC >ბოლოს ნანახია [23.04.2021].

ორიენტაციისა და გენდერული იდენობის ნიშნით დისკრიმინაცია კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება საქართველოში, მათ შორის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების რეალიზება ლგბტ+ ადამიანებისა და იეჰოვას მოწმეების მიერ.

მინისტრთა კომიტეტმა მოუწოდა ხელისუფლებას გააგრძელოს და გააორმაგოს ძალისხმევა და თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა გადაილახოს არსებული გამოწვევები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში და გაუმჯობესდეს სიძულვილით მოტივირებული (განსაკუთრებით ანტი-ლგბტი) დანაშაულის გამოძიება.

მინისტრთა კომიტეტმა კვლავ მიუთითა საქართველოს ხელისუფლებას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სპეციალური საგამოძიებო სტრუქტურული ერთეულის შექმნის და რელიგიური შეუწყნარებლობის დაძლევის მიზნით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და რელიგიათა საბჭოს შორის თანამშრომლობის გაძლიერების საჭიროებაზე, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროკომისიის მიერ გაკეთებული რეკომენდაციების[5] გათვალისწინებით.

სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებების შეფასება

საკანონმდებლო გარანტიების შექმნის და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ძალისხმევის მიუხედავად, თანასწორობის უფლების რეალიზაციის მხრივ, საქართველოში მდგომარეობა არსებითად არ უმჯობესდება, რაც გამოწვეულია შემდეგი პრობლემებით:

- საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ დაუცველი ჯგუფების საჭიროებების და ინტერესების გაუზიარებლობა და მიუღებლობა;

- სახელმწიფოს ერთიანი ხედვის არარსებობა - კონკრეტულ სახელმწიფო უწყებებს მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან მიმართებით არ შეუმუშავებიათ თანასწორობის პრინციპთან დაკავშირებული პოლიტიკა.

თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები არც მაღალი თანამდებობის პირების დღის წესრიგში შეინიშნება. გადაწყვეტილების მიმღები პირები კვლავ არ აკეთებენ თანასწორობის მხარდამჭერ განცხადებებს, მათ შორის, არც ცალკეული ჯგუფების თანასწორუფლებიანობისთვის კრიტიკულ დროს. ამის საპირისპიროდ, პოლიტიკური თანამდებობის პირები ხშირად ხელს უწყობენ დაუცველი ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციის წახალისებას.

სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებას, რომლის მიხედვითაც 2020 წლის სექტემბრიდან შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საპროცესო ხელმძღვანელობას სპეციალიზებული პროკურორები ახორციელებენ. თუმცა, აღნიშნული პოზიტიური ცვლილება, ვერ ჩაითვლება ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის დავალების შესრულებად, რომელიც შსს სისტემაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოსაძიებლად სპეციალური დანაყოფის

[5] რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის(ECRI) 2019 წლის 5 მარტის დოკუმენტი. გვ. 5 ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2AT5BV4 > ბოლოს ნანახია [23.04.2021].

შექმნას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე რეკომენდაცია საქართველომ არაერთ საერთაშორისო ფორმატში მიიღო, როგორც გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-2[6] და მე-3[7] ციკლის ფარგლებში, ასევე რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომისიისგანაც (ECRI).[8]ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურას, რომლითაც სამართალდამცავ უწყებებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების სპეციალიზებული დანაყოფის შექმნისკენ მოუწოდა[9]. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს, რომლის ამოცანას წარმოადგენს ყველა სახის დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და მიმდინარე გამოძიების პროცესში, მონიტორინგის გზით, დისკრიმინაციული შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირების ხელშეწყობა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს დეპარტამენტი საგამოძიებო ფუნქციით აღჭურვილი არ არის.

ასევე, სახელმწიფოს არ შეუსრულებია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და რელიგიათა საბჭოს შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად სახელწმიფოს მიერ ქმედითი ზომების მიღების შესახებს. სააგენტოს, რელიგიათა საბჭოსთან თანამშრომლობის მიზნით შესაბამისი ნაბიჯები არ გადაუდგამს. უფრო მეტიც, რელიგიის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, სააგენტოს პრობლემური მანდატის გათვალისწინებით, მის გაუქმებასაც კი მოითხოვენ.[10] განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს სააგენტოს მანდატის გამოყენებით სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ორგანიზაციების კონტროლისა და მათ შიდა საქმეებში ჩარევის მაღალი რისკები.

სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს. თუმცა, ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამომწვევი რისკ-ფაქტორებისა და მისი გამოვლენის ხელისშემშლელი გარემოებების გაანალიზებაც.

I. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება

---

[6] გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-2 ციკლი, რეკომენდაცია - 118.10: შეიქმნას სპეციალური პოლიციური დანაყოფი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოსაძიებლად, მჭიდრო თანამშრომლობით ლგბტ საზოგადოებასთან და ორგანიზაციებთან, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დასამყარებლად (შვედეთი).

[7] გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-3 ციკლი, რეკომენდაცია 148.73 უზრუნველყავით სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის საფუძველზე სიძულვილის დანაშაულის პრევენცია, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა სამართალდამცავ სისტემაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების დანაყოფის შექმნით (ირლანდია);

[8] რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის(ECRI) 2019 წლის 5 მარტის დოკუმენტი. გვ. 5 ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2AT5BV4 > ბოლოს ნანახია [23.04.2021].

[9] სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება საგამოძიებო ორგანოებს, 2020 წლის 18 აგვისტო, ხელმისაწვდომია : https://bit.ly/2WeeAe4, ბოლოს ნანახია [23.08.21]

[10] მაგ., ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ალტერნატიული ანგარიში სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის შესრულების შესახებ, თბილისი, 2020, 37; ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), Forum 18, The Universal Periodic Review (UPR) submission, 2020, 3. ხელმისაწვდომია.

აღნიშნულ ქვეთავში სახალხო დამცველის მიერ გამოთქმული მოსაზრებები 2019-2020 წლებში სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატში მომართვიანობასა და საკუთარი ინიციატივით დაწყებული საქმეების ანალიზს ემყარება.[11] მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, გასული წლების მსგავსად კვლავ რჩება არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების კუთხით. ყველაზე მაღალი მომართვიანობა სახალხო დამცველის აპარატში ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილ საქმეებზე დაფიქსირდა (25 საქმე, მათ შორის 5 შემთხვევა ეხებოდა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მომდინარე სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს). რაც შეეხება გამოძიების პროცესს, გვხვდება შემთხვევები, როდესაც ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ სავარაუდო სიძულვილით ჩადენილი ფაქტის გამოძიებისას, საგამოძიებო ორგანოს ცნობით, მცდელობის მიუხედავად, დისკრიმინაციული მოტივი არ გამოკვეთილა, ან, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, გამოძიება არ დაწყებულა, თუმცა, ბუნდოვანი რჩება, კონკრეტულად რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა ასეთი მოტივის გამოსავლენად.

სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ მომართვიანობა სტაბილურად მაღალია იეჰოვას მოწმეების მხრიდან (16), რომელთა შორისაც იყო საქმეები, რომლებიც ეხებოდა ჯერ კიდევ 2018 წლის საწყის თვეებში მომხდარ ფაქტებს, რომელზეც ბრალდებული არ არის გამოკვეთილი, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა და განმცხადებლების პრეტენზიები გამოძიების გაჭიანურებას უკავშირდებოდა.

2020 წელს, სახალხო დამცველი გაუმჯობესებულ ტენდენციად მიიჩნევს, რომ სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესწავლისას, განსაკუთრებით, იეჰოვას მოწმეთა მიმართ განხორციელებული დანაშაულების შემთხვევაში, წინა წლების პრაქტიკისგან განსხვავებით, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით, რომელიც თავის თავში მოიცავს სიძულვილის მოტივს, თუმცა, მას სამართლებრივ ეფექტიანობას უკარგავს დროში გაჭიანურებული შესწავლის პროცესი. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება, რომ საქმეზე ტარდება საგამოძიებო მოქმედებები შესაძლო სიძულვილის მოტივის გამოსაკვეთად და გრძელდება გამოძიება, თუმცა, კონკრეტული პირებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების და ბრალდებულად ცნობის მაჩვენებელი მკვეთრად დაბალია.

ამასთანავე, არის შემთხვევები, როდესაც გამოძიების შეწყვეტის შემდეგ, ფაქტი კვალიფიცირდება როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, თუმცა, პირის სამართალდამრღვევად ცნობის შემთხვევაშიც, შესაბამისი გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება, რომ მსხვერპლს ზიანი დისკრიმინაციული საფუძვლით მიადგა, ვინაიდან დღეს მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ გამოყოფს დისკრიმინაციულ მოტივს, როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ერთ-ერთ

[11] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში: „სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებები დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის მხრივ", გვ.13. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/383Oop1, ბოლოს ნანახია [23.08.21]

გარემოებას და არც ამ მოტივის აღნიშვნის შესაძლებლობას იძლევა. ეს მნიშვნელოვნად ართულებს სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ საქმეებზე გამართული სტატისტიკის წარმოებას და ზრდის შესაძლებლობას, ყურადღების მიღმა დარჩეს სიძულვილის მოტივით ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ფაქტები.

I. ლგბტ+ პირთა შეკრების თავისუფლება და ფიზიკური უსაფრთხოება

ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლების რეალიზება ქვეყანაში უმწვავესი პრობლემაა. ლგბტ+ თემს და მათ მხარდამჭერებს, მრავალი წელია, არ ეძლევათ თავისუფალ გარემოში შეკრების შესაძლებლობა, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული საზოგადოებაში არსებულ მწვავე ჰომოფობიურ ფონთან. ამის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საზოგადოებაში ამგვარი განწყობის შემცირებას.

მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს, ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, ლგბტ თემი მოკლებული იყო საჯარო შეკრების შესაძლებლობას, კვლავ თვალშისაცემი იყო ლგბტ+ ადამიანების და მათი მხარდამჭერების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ კონკრეტული ჯგუფების მხრიდან მომდინარე საფრთხე და აგრესიის დემონსტრირება.

2020 წლის განმავლობაში სისტემატური ხასიათი ჰქონდა ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან „თბილისი პრაიდის" ოფისის მიმართ სხვადასხვა სახის სამართალდარღვევებს. „თბილისი პრაიდის" მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციით, კანონსაწინააღმდეგო ქმედებები გამოვლინდა, მათ შორის: ორგანიზაციის თანამშრომლების მიმართ ჰომოფობიურ შეძახილებში, რასაც თან ახლდა ყვირილი, გინება და სხვა უხამსი და ძალადობის მუქარის შემცველი გამონათქვამები; ოფისის აივნიდან ლგბტ+ თემატიკის დროშის ჩამოხსნაში. ორგანიზაცია ასევე მიუთითებდა პოლიციის უმოქმედობასა და არაეფექტიან რეაგირებაზე, რის გამოც, თანამშრომლებს არ ჰქონდათ უსაფრთხოების განცდა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან ლგბტ+ ადამიანთა გამოხატვის თავისუფლებისთვის ხელის შეშლის ტენდენცია, ბოლო წლების განმავლობაში, ძლიერდება. მსგავს ჯგუფებს ჰყავთ ცალკეული მხარდამჭერები, რიგ შემთხვევებში, ასეთი გაერთიანებები ორგანიზებული სახით არსებობს და, გარკვეულწილად, თანმიმდევრული მოქმედებებით ხასიათდებიან. აღსანიშნავია, რომ ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მატარებელი პირები თავიანთი მოქმედებებითა და განცხადებებით, ხელს უწყობენ ჰომოფობიური განწყობების გავრცელებას, დისკრიმინაციის წახალისებას და ამავდროულად ახორციელებენ ქმედებებს, რომლებიც, ხშირად, კანონდარღვევაში გამოიხატება. თავის მხრივ, ხელისუფლება არ ატარებს საჭირო პრევენციულ ღონისძიებებს და არც კონკრეტულ შემთხვევებზე რეაგირებს ეფექტიანად, რაც ლგბტ+ ადამიანების თანასწორუფლებიანობას კიდევ უფრო დიდ საფრთხეს უქმნის. საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლების და შეკრების უფლების დაცვის კუთხით არადამაკმაყოფილებელია და არ ადასტურებს უფლებათა დაცვის სისტემური ხედვის არსებობას და ფაქტების პოტენციური შედეგების ანალიზს. საქართველოს მთავრობა არ ასრულებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებას, რომლითაც მინისტრთა კომიტეტმა სახელმწიფოს მოუწოდა, გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება

ლგბტ+ ადამიანების შეკრების თავისუფლებისა და ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად.[12] თუ რა იგულისხმება საჭირო ღონისძიებების ქვეშ, აღნიშნულის განმარტებას კი თავად ევროპული სასამართლო იძლევა საქართველოს წინააღმდეგ 2015 წელს იდენტობის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ლგბტ+ ადამიანების მიერ 2012 წლის 17 მაისს ორგანიზებული მშვიდობიანი მარშის გამართვამდე, „ხელისუფლებას ჰქონდათ ვალდებულება, გამოეყენებინა ყველა შესაძლო საშუალება, მაგალითად, დემონსტრაციამდე საჯარო განცხადებების მეშვეობით, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, მოეხდინათ ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირება, ისევე როგორც, გაეფრთხილებინათ პოტენციური სამართალდამრღვევები შესაძლო სანქციების ხასიათზე." გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებით იკვეთება, რომ როდესაც შეკრების მიმდინარეობისას მაღალია ქუჩის შეტაკებების მოლოდინი, სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან წინდახედული ნაბიჯია სამართალდამცავთა მაღალი რაოდენობის პირადი შემადგენლობის, მათ შორის, პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმის მობილიზება.[13]

ზემოაღნიშნული დასკვნებისა და მიგნებების მკაფიო დადასტურებაა 2021 წლის 5 ივლისს განვითარებული მოვლენები, რა დროსაც, წინა წლების მსგავსად, კვლავ ვერ მოხერხდა „ღირსების მარშის" ჩატარება ლგბტ თემის წევრებისა და აქტივისტების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიში 2020 წლის მიმოხილვით შემოიფარგლება და შესაბამისად, ამავე პერიოდს მიმოიხილავს წინამდებარე ალტერნატიული ანგარიშიც, საკითხის რელევანტურობიდან გამომდინარე, მოკლედ წარმოგიდგენთ 5-6 ივლისის მოვლენების შეფასებას.

5-6 ივლისის მოვლენებს წინ კონკრეტული პირების მხრიდან ძალადობისკენ და ამ მიზნით საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მობილიზებისკენ საჯარო მოწოდებები უსწრებდა. ძალადობისკენ არაერთი მოწოდება გაისმა უშუალოდ 5-6 ივლისსაც, მათ შორის, სასულიერო პირების მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფური ძალადობრივი მოქმედებები წინასწარ იყო განჭვრეტადი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ გაატარა ეფექტური პრევენციული ღონისძიებები ძალადობის თავიდან არიდების მიზნით.

პასუხისმგებლობის მშვიდობიან დემონსტრანტებზე გადატანით, ისედაც დაძაბული ფონი გაამძაფრა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებამ,[14] რომელმაც ღირსების მარში სამოქალაქო დაპირისპირების გამომწვევ მიზეზად შეაფასა.[15] სახელმწიფომ ვერ აღკვეთა საჯარო სივრცეში მიმდინარე ძალადობა, რაც საფრთხეს უქმნიდა „ღირსების მარშის" მხარდამჭერების, გამვლელი მოქალაქეების და ჟურნალისტების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

---

[12] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2019 წლის 23-25 სექტემბრის გადაწყვეტილება .ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tgwYhb >. ბოლოს ნანახია [23.04.2021].

[13] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე, „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ", პარ. 99.

[14] ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, „თბილისი პრაიდის" უკან მიხეილ სააკაშვილი და რადიკალური ოპოზიცია დგას. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ytmFKi >ბოლოს ნანახია [23.09.2021].

[15] სახალხო დამცველის განცხადება რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მოვლენების შესახებ. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3jmSYUJ >ბოლოს ნანახია [23.09.2021].

დღეის მდგომარეობით შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს გენერალურ პროკურატურას არც ერთი პირი არ მიუცია სისხლის სამართლის პასუხისგებაში 5 და 6 ივლისს თბილისში განვითარებული ძალადობრივი, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ორგანიზებისთვის. ძალადობრივი მოვლენების მასშტაბურობა, ქმედებების ინტენსიურობა და სიმძიმე, ძალადობის ჯგუფური ხასიათი, კონკრეტული პირების მოწოდებები, დაზარალებულ მოქალაქეთა და მოძალადე პირთა რაოდენობა, ცალსახად მიუთითებს, რომ სახეზეა ჯგუფური ძალადობის ორგანიზების შესაძლო ნიშნები.

არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებული საქმეები

,,ცინცაბაძის ჯგუფში" შემავალი საქმეები ეხება სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლების (წამების აკრძალვა), როგორც არსებითი ისე პროცედურული ასპექტების დარღვევას.

2020 წლის 3 დეკემბრის რეზოლუციით[16] მინისტრთა კომიტეტმა დაასრულა ზედამხედველობა საქმეებზე „დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ[17] და „ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ"[18], სადაც აღნიშნა, რომ დასანანია, შიდა სასამართლოების მიერ შეუსაბამოდ დაბალი სანქციების განსაზღვრა დამნაშავეთათვის. რაც შეეხება აღნიშნულ საქმეებში ზოგადი ღონისძიებების აღსრულებას, მინისტრთა კომიტეტი ზედამხედველობას აგრძელებს „ცინცაბაძის ჯგუფის" საქმეების ფარგლებში.

ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ბოლო შუალედური გადაწყვეტილება 2020 წლის 1-3 დეკემბერს, 1390-ე სხდომაზე მიიღო.[19] გადაწყვეტილებაში მინისტრთა კომიტეტი მიესალმა ახლად შექმნილი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირების განმტკიცების მიზნით მიღებულ დამატებით ინსტიტუციურ ზომებს; ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2019 წლის ცვლილებებს, რომლებიც ითვალისწინებს დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრებას ყველა კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში;

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მინისტრთა კომიტეტმა, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან გამოთქმული შეშფოთების გათვალისწინებით, რომელიც მიემართება არასათანადო მოპყრობის შემთხვევების სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მსუბუქი მუხლებით კვალიფიკაციის განგრძობად პრაქტიკას, ხელისუფლებას მოუწოდა წარმოადგინოს განმარტებები კვალიფიკაციის პრაქტიკისა და ქმედების კვალიფიკაციის გასაჩივრების კუთხით მსხვერპლისთვის არსებული შესაძლებლობების თაობაზე, აგრეთვე სახელმწიფოს დაავალა

[16] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3eFvmbN > [23.04.2021].
[17] საჩივარი №19634/07, 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება
[18] საჩივარი №50375/07, 2019 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება

[19] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3CFSJvT >ბოლოს ნანახია [23.04.2021].

კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად შემდგომი ღონისძიებების განსაზღვრა.

მინისტრთა კომიტეტმა ხელისუფლებას ასევე მოუწოდა შეიმუშავონ წამების პრევენციისთვის დამატებითი გარანტიები და ამ მიზნით განიხილონ და შეისწავლონ დაკავებული ან დაპატიმრებული პირების სამართალდამცავ ორგანოებთან კომუნიკაციისას, დაკითხვისა და გამოკითხვის ჩათვლით, აუდიო/ვიდეო ჩანაწერების წარმოების შესაძლებლობა.

მინისტრთა კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომუშავე სამედიცინო პერსონალს შეუძლია შეატყობინოს არასათანადო მოპყრობის შემთხვევების შესახებ უშუალოდ სახელმწიფო ინსპექტორს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონის საფუძველზე და მოუწოდა ხელისუფლებას, რომ პენიტენციური დაწესებულებების შინაგანაწესი შესაბამისობაში მოეყვანა აღნიშნულ კანონთან, ამ ვალდებულების მკაფიოდ გაწერის გზით.

სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებების შეფასება

ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, დოკუმენტირება და გამოძიებისთვის შეტყობინება

<u>პენიტენციური დაწესებულებები</u>

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ძალადობის შემთხვევების გამოვლენის, დოკუმენტირებისა და საგამოძიებო ორგანოსათვის შეტყობინების პროცედურის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ახალი წესის დამტკიცებას, რითაც განისაზღვრა ექიმის მიერ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის შესახებ შეტყობინების პირდაპირ საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორისთვის გაგზავნის ვალდებულება.

პენიტენციური სისტემის კონტექსტში უპირველეს პრობლემად რჩება კრიმინალური სუბკულტურა, რაც, თავის მხრივ, დაწესებულებებში ძალადობრივ გარემოს ქმნის. 2020 წელს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ის მცირე რაოდენობის საქმეები, სადაც პატიმრების მიმართვის საფუძველზე პროკურატურამ დაიწყო გამოძიება როგორც კრიმინალური სუბკულტურის მიერ, ისე მათი მფარველი ან უმოქმედობით თანამონაწილეობაში მყოფი ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ დანაშაულებრივი ქმედებების შესაძლო ჩადენის ფაქტებზე. ჩვენ მიერ შესწავლილი საქმეების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს პროკურატურის ორგანოები არაჯეროვნად ახორციელებენ უფლებამოსილებას და სერიოზული ხარვეზებით წარმართავენ საგამოძიებო მოქმედებებს. აღქმა, რომელსაც პროკურატურის მიერ წარმოებული გამოძიება აჩენს, იმგვარია, რომ ეფექტიანი რეაგირებისა და დამნაშავე პირთა დასჯის მოტივაცია საგამოძიებო უწყებას/სახელმწიფოს არ გააჩნია.[20]

[20] სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში "საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", გვ.51-54, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3lwp7Mj >ბოლოს ნანახია [23.09.2021].

პენიტენციური სისტემის ფარგლებში არასათანადო მოპყრობის შემთხვევების თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პატიმართა ხანგრძლივი იზოლირება და მათი დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო საკნებში მოთავსება.

სახალხო დამცველის შეფასებით, პენიტენციურ დაწესებულებებში ძალადობის შემთხვევების დოკუმენტირების მექანიზმის ეფექტიანობას ხელს უშლის არაკონფიდენციალურ გარემოში პატიმრის და ექიმის შეხვედრის დამკვიდრებული პრაქტიკა. ასევე აღსანიშნავია, რომ სათანადო კვალიფიკაციის და ინფორმაციის არქონის პირობებში, ექიმები ვერ ახერხებენ დაზიანებების დოკუმენტირების მნიშვნელობის და მიზნის ახსნას და პატიმრის ნდობის მოპოვებას.

<u>შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა</u>

პოლიციის მხრიდან დაკავებული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის თავიდან ასარიდებლად, უმნიშვნელოვანესი გარანტიაა ადვოკატის დროული ხელმისაწვდომობა და ამ მიზნით ოჯახის წევრებთან თუ ადვოკატთან დაკავშირება. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს კონკრეტული მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის იმის შემოწმებას, პრაქტიკაში რამდენად ხორციელდება ოჯახის წევრებთან, ახლობლებთან ან ადვოკატთან დაკავშირების და დაკავების შესახებ ინფორმაციის შეტყობინების უფლება.

პოლიციის მიერ პირის საკუთარი უფლებების შესახებ დაკავებულის ინფორმირება 2020 წელსაც პრობლემური იყო. პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების მიერ ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებულ პირებს უმეტეს შემთხვევებში არც დაკავებისას და არც გამოკითხვის წინ, ან საერთოდ არ უმარტავენ უფლებებს, ან მხოლოდ ნაწილობრივ აწვდიან ინფორმაციას.[21]

შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში აუდიო და ვიდეო ჩანაწერების უზრუნველყოფა

სამწუხაროდ, აუდიო-ვიდეო ჩანაწერების წარმოებასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც არაერთი საერთაშორისო სტანდარტით არის გამყარებული და მათ შორის მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებაშიც არის აღნიშნული, დღემდე შეუსრულებელი რჩება. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციით მიმართავს, აწარმოონ პოლიციის დაწესებულებებში დაკავებული პირის დაკითხვის პროცესის უწყვეტი ელექტრონული (აუდიო ან/და ვიდეო) გადაღება, რაც წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამატებითი გარანტიაა.[22] ჩანაწერები უნდა იყოს დაცული, ინახებოდეს გონივრული დროით და ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაკავებული პირისთვის, მისი ადვოკატისა და შიდა/საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმებისთვის, ისევე როგორც საგამოძიებო ორგანოებისთვის.[23] ამის საპირისპიროდ, საქართველოს კანონმდებლობით, პოლიციის

[21] სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში "საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", გვ.69, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3lwp7Mj >

[22] საბოლოო დასკვნა რუსეთის ფედერაციის მიმართ, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, CAT/C/RUS/CO/6,

[23] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 28-ე საერთო ანგარიში, 2019, პარ. 81, ხელმისაწვდომია: , [ბოლოს ნანახია: 23.04.2021]. გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის ანგარიში პოლონეთის

დაწესებულებებში დაკავებულ პირთა დაკითხვის/გამოკითხვის პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერა სავალდებულო არ არის და პოლიციელთა შეხედულებაზეა დამოკიდებული. 2020 წელს დაკავებულ პირებთან და ადვოკატებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ პოლიციის დაწესებულებებში კვლავ არ მიმდინარეობდა დაკავებულ პირთა გამოკითხვის პროცესის აუდიო/ვიდეო ჩაწერა. [24]

2020 წელს გამოკითხული არაერთი დაკავებული მიუთითებდა პოლიციის ავტომანქანაში (გაჩერებულ მდგომარეობაში ან ტრანსპორტირებისას) პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე. სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის ანგარიშის თანახმად, სამართალდამცავთა მიერ სავარაუდო დანაშაულთა 30%-ის ჩადენის ადგილად დასახელებულია პოლიციის ავტომანქანა, რომლის შიდა პერიმეტრი არ არის აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. 2020 წელს პოლიციის რიგ დაწესებულებებში კვლავ პრობლემა იყო შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით სათანადოდ დაფარვა. ამასთანავე, კვლავ გრძელდებოდა დაკავებულთან ან დაწესებულებაში სხვა სტატუსით მყოფ პირთან გასაუბრებისთვის პოლიციის დაწესებულებების უფროსების და მათი მოადგილეების სამუშაო კაბინეტების აქტიური გამოყენება, სადაც არ მიმდინარეობს აუდიო-ვიდეო მეთვალყურეობა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის არასათანადო მოპყრობის რისკებს.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პოლიციის დაწესებულების ყველა შიდა და გარე პერიმეტრი, სადაც დაკავებულს ან მოქალაქეს შეიძლება უწევდეს ყოფნა, უნდა აღიჭურვოს ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც შესაძლებელია დაირღვეს დაკავებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, ან ადვოკატთან და ექიმთან შეხვედრის კონფიდენციალურობა.[25]

სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია ასევე არაეფექტიანი გამოძიება. სამწუხაროდ, 2020 წლის განმავლობაშიც, არაერთი გამოწვევა გამოვლინდა არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების მიმართულებით. სახალხო დამცველის აპარატმა სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით შესწავლილ სისხლის სამართლის საქმეებში მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოავლინა. აპარატის წარმოებაში არსებული არაერთი განცხადების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საგამოძიებო ორგანოს მხრიდან, რიგ შემთხვევებში, ვერ ხერხდება მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედების - სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება (კომისიური/კომპლექსური ექსპერტიზა). საექსპერტო კვლევის ჩატარების დამაბრკოლებელი გარემოებაა მედიცინის კონკრეტული დარგის სპეციალისტების მონაწილეობის შეუძლებლობა, რაც განპირობებულია ამ უკანასკნელთა უარით, მათ კომპეტენციას მიკუთვნებული კვლევის ნაწილში მონაწილეობის მიღებაზე. საგულისხმოა, რომ შესწავლილ საქმეებში სამედიცინო ექსპერტიზის

მთავრობას, CAT/OP/POL/ROSP/1, 09.01.2020. პარა. 47, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2xXKrn7 > [ბოლოს ნანახია: 23.04.2021].

[24] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის შესაბამისად საგამოძიებო მოქმედების დროს დასაშვებია ვიდეო და აუდიო ჩაწერა.

[25] საბოლოო დასკვნა რუსეთის ფედერაციის მიმართ, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, CAT/C/RUS/CO/6

(კომისიური)ჩატარების შეუძლებლობის გამო, საგამოძიებო ორგანომ ვერ შეაფასა კონკრეტულ პირთა ბრალეულობის საკითხი. ამით ზიანი მიადგა როგორც დაზარალებულთა უფლებებს, ასევე, შეუსრულებელი დარჩა სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულება, სავარაუდო დანაშაულის გამოძიების კუთხით. გარდა ამისა, გამოვლინდა სამი საქმე, სადაც სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას 7, 9, 18 თვე დასჭირდა.

ტენდენციის სახით უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციისა და პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების სავარაუდო დანაშაულების გამოძიებას, როგორც პროკურატურა, ისე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიც, ძირითადად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით - უფლებამოსილების გადამეტების საფუძვლით იწყებენ. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლით (წამების აკრძალვა) გამოძიება არ დაწყებულა. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლს (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა), 2020 წელს ამ მუხლით გამოძიება სახელმწიფო ინსპექტორმა 18 შემთხვევაში პოლიციის თანამშრომლის, ხოლო 5 შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის შესაძლო დანაშაულის ფაქტების თაობაზე დაიწყო.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მონაცემებით, სახალხო დამცველის მიერ 2013- 2019 წლებში პროკურატურაში გაგზავნილი 107 წინადადების საფუძველზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, პასუხისგებაში მხოლოდ პოლიციის 3 თანამშრომელი მიეცა, დაზარალებულად მხოლოდ 1 პირი ცნეს.

,,მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ''

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ,,მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ'' დაადგინა, რომ მომჩივანის მიმართ წინასწარი პატიმრობის გაგრძელების საჭიროება არ იყო სათანადოდ დასაბუთებული ეროვნული სასამართლოების მიერ, რითაც დაირღვა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი. ასევე, სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის 18 მუხლის დარღვევა მე-5 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით იმის გამო, რომ მერაბიშვილისთვის გაგრძელებული წინასწარი პატიმრობა გენერალურმა პროკურორმა არალეგიტიმური მიზნებისთვის გამოიყენა, კერძოდ, მომჩივანზე ზეწოლის მოსახდენად, რათა ამ უკანასკნელს გაემჟღავნებინა ინფორმაცია მისი სისხლის სამართლის საქმისგან დამოუკიდებელ სხვა საკითხებზე.

2021 წლის მარტში მიღებულ გადაწყვეტილებაში[26] მინისტრთა კომიტეტმა სახალხო დამცველის შეფასებები გაიზიარა ინდივიდუალური ღონისძიებების ნაწილში და გაიმეორა, რომ რჩება კითხვები მერაბიშვილის საკნიდან შესაძლო გაყვანის ფაქტის გამოძიების ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის შესახებ.

რაც შეეხება ზოგადი ღონისძიებების აღსრულებას, გამოძიების ეფექტიანობასთან დაკავშირებით არსებული განრგძობადი კითხვების გათვალისწინებით, მინისტრთა კომიტეტმა მოუწოდა ხელისუფლებას კიდევ ერთხელ გაატაროს რეფორმები პროკურატურის დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, 2018 წლის კონსტიტუციური ცვლილებების კონტექსტში. საგულისხმოა,

[26] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 9-11 მარტის შეხვედრის გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ty3lbS > [ბოლოს ნანახია 24.08.2021].

რომ მინისტრთა კომიტეტმა მსგავსი მოწოდება 2020 წლის სექტემბრის გადაწყვეტილებაშიც გააჟღერა.[27]

აგრეთვე, კომიტეტმა ხაზი გაუსვა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილების გაფართოების საჭიროებას, რათა მის ქვეშ მოექცეს ის საქმეები, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა დაადგინა.[28]

სახელმწიფოს მიერ გატარებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებების შეფასება

2020 წელს, სახალხო დამცველის აპარატმა, ივანე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანისას სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, განაგრძო განახლებული გამოძიების მასალების გაცნობა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2020 წლის 15 სექტემბერს 4-წლიანი წყვეტის შემდეგ, ხელახლა დაიკითხა მნიშვნელოვანი მოწმე კ. თ. , რომელიც 2016 წელს მიცემულ ჩვენებაში აღწერდა, რომ 2013 წლის 14 დეკემბრის ღამეს, საკნის ღრიჭოდან დაინახა, როგორ გაიარეს მისი საკნის წინ ივანე მერაბიშვილმა და პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა (სავარაუდოდ სხვა პირებთან ერთად). ამ ჩვენებასთან დაკავშირებით 2020 წლის 17 დეკემბერს ჩატარებულმა საგამოძიებო ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ მოწმეს მართლაც შეეძლო დაენახა საკნიდან პირთა მნიშვნელოვანი მახასიათებლები და დამატებით დაადასტურა ივანე მერაბიშვილის საკნიდან სავარაუდო გაყვანის ფაქტის სარწმუნოობა.

სახალხო დამცველის შეფასებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე 2018 წლის 12 ივლისს განახლებული გამოძიება არაერთი მნიშვნელოვანი ხარვეზით წარიმართა, კერძოდ, გამოძიება იყო არასრულყოფილი და გაჭიანურებული, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს კომიტეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებად. მაგალითად, ისეთი საგამოძიებო მოქმედებები როგორიცაა საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმის (ი.კ-ს) მიერ დასახელებული პირების გამოკითხვა, ჩატარდა ი.კ-ს მიერ ჩვენების მიცემიდან დაახლოებით 13 თვის შემდეგ; ი.მ და მისი ოჯახის წევრები, მათ ჩვენებებში გამოვლენილი უზუსტობების გამოვლენიდან, ი.მ-ს ადგილმდებარეობის შესახებ განმეორებით 9 თვის მერე დაკითხეს; ივანე მერაბიშვილს დღემდე არ მიეცა გამოძიების პროცესში ჩართვის შესაძლებლობა ეფექტიანი გამოძიების სტანდარტის შესაბამისად. კერძოდ, არ ჩატარებულა ივანე მერაბიშვილის მიერ აღწერილი სავარაუდო დამნაშავეების სახობრივი კომპოზიცია, რათა შესაძლებლობა მისცემოდა მონაწილეობა მიეღო სავარაუდო დამნაშავეების ამოცნობის პროცესში და ა.შ.

რაც შეეხება ზოგადი ღონისძიებების ნაწილს, როგორც ზემოთ აღინიშნა, მინისტრთა კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს პროკურატურის რეფორმის საჭიროებაზე. ამ მხრივ კონსტიტუციური რეფორმის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს პროკურატურის

---

[27] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1383-ე სხდომის, 2020 წლის 29 სექტემბერი – 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2QhV0dR >[ბოლოს ნანახია 24.08.2021].

[28] ამ ანგარიშის პარლამენტში წარდგენის პერიოდისთვის მინისტრთა კომიტეტს კიდევ ერთი გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი აღნიშნულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით 2021 წლის სექტემბრის სხდომაზე, რომელსაც სახალხო დამცველი გამოეხმაურება შემდეგ საანგარიშო პერიოდზე მომზადებულ ალტერნატიულ ანგარიშში.

სისტემაში საპროკურორო საბჭოს როლის გაძლიერება. საპროკურორო საბჭოს, კონსტიტუციის მიხედვით, დაკისრებული აქვს საქართველოს გენერალური პროკურატურის დამოუკიდებლობის, ეფექტიანობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება. „პროკურატურის შესახებ" 2018 წლის ორგანული კანონით გენერალურ პროკურორსა და საპროკურორო საბჭოს შორის ურთიერთმიმართება იმგვარად არის განსაზღვრული, რომ გენერალური პროკურორი არის ცენტრალური ფიგურა საქართველოს პროკურატურაში და მისი უფლებამოსილება საბჭოს ფუნქციებით არ არის დაბალანსებული. ვენეციის კომისიის შეფასებით, საბჭოს გაუჭირდება მასზე დაკისრებული ფუნქციის (პროკურატურის ეფექტიანობა, გამჭვირვალობა და დამოუკიდებლობა) შესრულება იმ უფლებამოსილებებით, რომლებიც მას კანონმდებლობით აქვს მინიჭებული.[29]

მოქმედი კანონმდებლობით საპროკურორო საბჭოს ძირითადი უფლებამოსილება კვლავ გენერალური პროკურორის კანდიდატის შერჩევით შემოიფარგლება. პარლამენტმა საპროკურორო საბჭოს არ ანდო საკადრო და დისციპლინური პასუხისმგებლობის პოლიტიკის განსაზღვრა, რაც საერთაშორისო დონეზე არსებული გამოცდილებებით უშუალოდ საბჭოს ფუნქციას წარმოადგენს.

კანონის მოქმედი რედაქციით, საბჭოს შემადგენლობაში კვლავ რჩებიან პოლიტიკური სუბიექტები და შენარჩუნებულია პარტიული კვოტების სისტემა, რაც საერთაშორისო რეკომენდაციებით, ერთ-ერთ არასასურველ მოდელად არის მიჩნეული. საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების პროცესში კვლავ შენარჩუნებულია იუსტიციის მინისტრის მანდატიც. პროკურატურის იუსტიციის სამინისტროსგან და სამთავრობო კაბინეტისგან სრული დისტანცირების პირობებში, იუსტიციის მინისტრის მონაწილეობა საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტებაში სრულიად დაუსაბუთებელია. ამ მიმართულებით არსებული არაერთი საერთაშორისო გამოცდილება თუ რეკომენდაცია ცხადად მიუთითებს, რომ საპროკურორო საბჭოს ჩამოყალიბების ძირითადი იდეა პროკურატურის დეპოლიტიზაცია და ხელისუფლების შტოებისგან მისი ავტონომიურობის უზრუნველყოფაა,რაც საპროკურორო საბჭოს ამგვარი დაკომპლექტების ფარგლებში ვერ მიიღწევა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ კვლავ მწვავედ დგას პროკურატურის პოლიტიზირების პრობლემა, რაც დასტურდება ბოლო წლებში, თემურ აბაზოვის, ლაშა თოდრიას და ე.წ. კარტოგრაფების საქმეებში[30] პროკურატურის ქმედებებით.

რაც შეეხება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დამოუკიდებლობის ხარისხს, უნდა აღინიშნოს, რომ არსებული კანონმდებლობით, გამოძიების წარმოების პროცესში ინსპექტორის სამსახური დიდწილად დამოკიდებულია პროკურატურაზე. სამსახურის გამომძიებელი პროკურორისგან დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: გამოძიების დაწყება, მისი დაწყებისას კვალიფიკაციის განსაზღვრა, გამოძიების სტრატეგია, პროკურორის თანხმობის გარეშე ჩასატარებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მათი რიგითობა, და სავარაუდო მსხვერპლის ჩართულობა გამოძიების პროცესში; თუმცა, სხვა საგამოძიებო უწყებების მსგავსად, იგი მოკლებულია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას

[29] Opinion of the Venice Commission of 17 December 2018, CDL-AD (2018)029, para. 31.

[30] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში"საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ"გვ 82. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3lwp7Mj >ბოლოს ნანახია [23.09.2021].

პროკურორის წინასწარი თანხმობისა თუ ნებართვის გარეშე. ამასთან, პროკურორს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეცვალოს დანაშაულის კვალიფიკაცია და გამომძიებელს მისცეს წერილობითი მითითებები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე. სახალხო დამცველი თვლის, რომ აუცილებელია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საპროკურორო ფუნქციებით აღჭურვა იმისათვის, რომ ამ ინსტიტუტმა შეძლოს დამოუკიდებლად და ეფექტიანად ფუნქციონირება.

აღნიშნულ საქმეში ზოგადი ღონისძიებების ერთერთი მნიშვნელოვანი ასპექტია პენიტენციურ დაწესებულებებში ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და მეთვალყურეობის შედეგად მონაცემთა დამუშავების საკითხიც. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების ვიდეოჩანაწერების გასაჯაროებისთვის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევისთვის სამართალდამრღვევად ცნო და დააჯარიმა იუსტიციის სამინისტრო და სპეციალური პენიტენციური სამსახური. ნიშანდობლივია, ასევე რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შედეგად მონაცემთა დამუშავების კანონიერება და შემოწმების პროცესში არაერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოავლინა. გამოვლენილ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებით, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს 9 (ცხრა) დავალება და 7 (შვიდი) რეკომენდაცია მიეცა.[31]

,,ამირიძე საქართველოს წინააღმდეგ''

ევროპულმა სასამართლომ საქმეში ,,ამირიძე საქართველოს წინააღმდეგ'' დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 34-ე მუხლის (ინდივიდუალური საჩივარით მიმართვის უფლება) დარღვევას. კერძოდ, მომჩივანს მოსთხოვეს ადვოკატთან შეხვედრის დროს კარი დაეტოვებინა ღია და დამჯდარიყო ისე, რომ ყოფილიყო სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის მხედველობის არეალში. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული პირობები წარმოადგენდა ინდივიდუალური საჩივრის უფლების ეფექტურად განხორციელების შეფერხებას.

სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებების შეფასება

არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა საჩივრის კონფიდენციალურად შეტანის შესაძლებლობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სისტემაში, ისე მის გარეთ.

წინა წლების მსგავსად, 2020 წელსაც, გამოიკვეთა პატიმრების მიერ მოთხოვნა/საჩივრის უფლების რეალიზაციის კუთხით არსებული დაბრკოლებები. 2020 წელს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ მონახულებულ ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში საჩივრის ყუთები განთავსებული იყო, თუმცა კვლავ ხვდებოდა ვიდეომეთვალყურეობის არეალში, რაც კონფიდენციალური საჩივრის ავტორის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. აღსანიშნავია, რომ №8 და №6 დაწესებულებაში მყოფი

[31] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში "საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ"გვ 152-153. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3lwp7Mj > ბოლოს ნანახია [23.09.2021].

პატიმრების ნაწილის თქმით, ადმინისტრაცია მათ არ აწვდიდა საჭირო მასალას და აბრკოლებდა საჩივრების გაგზავნას. იმ შემთხვევაში კი, თუ პატიმრები შეძლებდნენ საჩივრის დაწერას და ყუთში მოთავსებას ან დაწესებულების თანამშრომლისთვის მის გასაგზავნად გადაცემას, პატიმრებმა ხშირად არ იცოდნენ, მივიდა თუ არა მათი კორესპონდენცია ადრესატამდე.

პატიმრებმა ასევე აღნიშნეს, რომ იბლოკება სახალხო დამცველის სახელზე გაგზავნილი კორესპონდენციაც. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პატიმრები, სურვილის მიუხედავად, ვერ სარგებლობენ გასაჩივრების უფლებით პენიტენციურ სისტემაში არსებული სუბკულტურის გამო. საგანგაშოა, რომ საჩივრის მექანიზმის გამოყენება, არასათანადო მოპყრობის გამომწვევი ერთ-ერთი რისკფაქტორია სისტემაში. კერძოდ, არაფორმალური მეთოდებით მმართველობის წესების თანახმად, საჩივრის დაწერა მიუღებელია და საჩივრის დამწერი შესაბამისად ისჯება.

იუსტიციის სამინისტროს წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილია დამცველთან/ადვოკატთან ყოველგვარი შეზღუდვისა და ჩარევის გარეშე შეხვედრის უფლებით. სახალხო დამცველს სურს ამ კუთხით არსებულ პრობლემაზე გაამახვილოს ყურადღება, კერძოდ, პატიმრებს, რომლებიც პენიტენციური დაწესებულებაში არსებულ დეესკალაციის ოთახში არიან მოთავსებულნი, შეზღუდული აქვთ გარესამყაროსთან კონტაქტი, შესაბამისად, ვერ სარგებლობენ ადვოკატთან შეხვედრის უფლებით. საყურადღებოა, რომ პენიტენციური დაწესებულებების დებულებების შესაბამისად, დეესკალაციის ოთახში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსების ვადა 72 საათია. ამასთანავე, არ არის შეზღუდული დეესკალაციის ოთახში და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში უსაფრთხოების მიზნით პატიმრის განმეორებით მოთავსების სიხშირე.

იმავე ანგარიშში იუსტიციის სამინისტრო აღნიშნავს, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც არ ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, არ ესმის სამართალწარმოების ენა, შეუძლია ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული მონიტორინგი კი ცხადყოფს, რომ ენის არცოდნის და დაწესებულებაში თარჯიმნების არარსებობის გამო, უცხოელი პატიმრები არ არიან ინფორმირებულები საკუთარი უფლებების შესახებ. ენობრივი ბარიერი უარყოფითად აისახება დაწესებულების თანამშრომლებთან ურთიერთობებზეც. შედეგად, ისინი ფაქტობრივად ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებიან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, საანგარიშო წლის განმავლობაშიც არ გაზრდილა სოციალური მუშაკების როლი პატიმრებისთვის უფლებების, მოვალეობების, მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურებზე პერიოდულად ინფორმირებასთან დაკავშირებით.

„ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ"

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ,,ნ.წ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება) დარღვევა დაადგინა. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ბავშვის უფლებასთან მიმართებით - ჰყავდეს კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც არსებითად დაიცავს მის ინტერესებს- ხარვეზიანია და არ შეესაბამება არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ განსახილველ საქმეში სოციალური

მომსახურების სააგენტო სამართალწარმოებაში ჩართული იყო ფორმალურად, „დაინტერესებული პირის" სტატუსით, მაშინ როცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა რაიმე დებულებას „დაინტერესებული პირის" სტატუსისა და მისი საპროცესო უფლებების შესახებ. აქედან გამომდინარე, სასამართლოსთვის გაურკვეველი იყო, რამდენად შეძლო სოციალური მომსახურების სააგენტომ, ეფექტურად წარმოედგინა ბავშვების ინტერესები ფორმალური სტატუსის არარსებობის პირობებში. აგრეთვე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვების სამართალწარმოებაში მონაწილეობა არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი და ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს ბავშვების საუკეთესო ინტერესების ადეკვატურად შეფასება.

სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებების შეფასება

სახალხო დამცველის შეფასებით „ბავშვის უფლებათა კოდექსის" მიღება ქვეყანაში ბავშვთა უფლებების დაცვის სამართლებრივი განმტკიცების საქმეში სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული მნიშვნელოვანი პროგრესული ნაბიჯია. სამწუხაროდ, ამის მიუხედავად, ბავშვის უფლებების სრული და ეფექტიანი განხორციელების თვალსაზრისით, ქვეყანაში კვლავ არაერთი გადაუჭრელი პრობლემაა.

საქართველოს მთავრობა მინისტრთა კომიტეტისთვის წარდგენილ სამოქმედო გეგმაში (28/07/2020) უთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები (ძალაშია 01/09/2020-დან) ითვალისწინებს საქმის განხილვაში არასრულწლოვნის ჩართვის შესაძლებლობას, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს ამ მიმართულებით არსებულ ხარვეზებზე. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში - სსსკ) გარკვეული დებულებები ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებების კოდექსით გათვალისწინებულ დებულებებს. ბავშვის უფლებათა კოდექსი არ აწესებს ასაკობრივ შეზღუდვას და ანიჭებს ბავშვს საქმის განხილვაში მონაწილეობისა და სასამართლოს წინაშე მოსაზრებების გამოხატვის უფლებას, ასაკის მიუხედავად, ხოლო სსსკ აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს ასაკის გათვალისწინებით. სსსკ-ის 81-ე მუხლის მე -3 ნაწილის თანახმად, შვიდიდან თვრამეტი წლის ასაკის არასრულწლოვნის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია ბავშვი ჩართოს პროცესში, თუმცა შვიდ წლამდე არასრულწლოვნის შემთხვევაში, ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს დისკრეციაზეა დამოკიდებული მოუსმინოს 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებს.

ასევე, მთავრობის იმავე სამოქმედო გეგმაში ნათქვამია, რომ სოციალური მუშაკი სასამართლო განხილვაში მონაწილეობს მესამე პირის სტატუსით და რომ მის უფლება მოვალეობებს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა არეგულირებს. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ორი კატეგორიის მესამე პირს: მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. გაუგებარია, რომელი საპროცესო სტატუსით სარგებლობენ სოციალური მუშაკები არასრულწლოვანთა საპროცესო წარმომადგენლობის დროს. არც ბავშვის უფლებების კოდექსი და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ არეგულირებს სოციალური მუშაკის, როგორც საპროცესო წარმომადგენლის როლს და ფუნქციებს სასამართლო პროცესის განმავლობაში.

სამწუხაროდ, დღემდე არ არის ზუსტად და მკაფიოდ გაწერილი სოციალური მუშაკის ვალდებულებები და უფლებამოსილებები გამოძიების ეტაპზეც.

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი რეგულირებით არსებობს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობა, რადგან სოციალური მუშაკის სახით ერთიდაიგივე ორგანო გვევლინება ბავშვის საპროცესო წარმომადგენლად სასამართლოს წინაშე, რომელიც ვალდებულია დაიცვას ბავშვის საუკეთესო ინტერესი და ამავდროულად ინდივიდუალურ შემფასებლად, ვინც ადგენს ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, ცხოვრების პირობებს და სხვა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სოციალური მუშაკის, როგორც ინდივიდუალური შემფასებლის სტატუსი უნდა განისაზღვროს და გაიმიჯნოს საპროცესო წარმომადგენლის სტატუსისგან.

ასევე, ნიშანდლობლივია, რომ სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებები შეიძლება დაირღვეს თავად სახელმწიფოს მიერ და ასეთ შემთხვევებში სოციალური მომსახურების სააგენტო და იქ მომუშავე სოციალური მუშაკი არ შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის ობიექტურ და მიუკერძოებელ წარმომადგენლად. არასრულწლოვანს არ აქვს ალტერნატივა აირჩიოს სხვა საპროცესო წარმომადგენელი სოციალური მუშაკის გარდა , რადგან ბავშვთა უფლებების კოდექსით და მოქმედი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული თუ ვინ შეიძლება იყოს ბავშვის სხვა საპროცესო წარმომადგენელი.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსთვის ბავშვის უფლებების დაცვა ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს, უკიდურესად დაბალია სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა, ვისაც პირველ რიგში ევალება ბავშვის უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირება. მათი სამუშაო პირობები ასევე უკიდეურესად სავალალოა. მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოში, მთელი ქვეყნის მასშტაბით დასაქმებულია 268 სოციალური მუშაკი და 12 ფსიქოლოგი , რომლებიც მუშაობენ, როგორც სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ, ისე - ძალადობაგანცდილ, კანონთან კონფლიქტში მყოფ, სიღარიბეში მცხოვრებ თუ სხვა სახის პრობლემების მქონე ათასობით არასრულწლოვანთან. სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების სიმცირის გამო, რისკის ქვეშ დგას არასრულწლოვნების არა მხოლოდ ცალკეული უფლებების დაცვის საკითხი, არამედ, მათი სიცოცხლე და განვითარება, რადგან ადამიანური რესურსების სიმწირესთან ერთად, სარეაბილიტაციო და მხარდამჭერი სერვისების არარსებობის პირობებში, უმწვავეს შემთხვევებზეც კი, რეაგირება დაგვიანებული და არაეფექტიანია.

რეკომენდაციები:

მიმოხილული საკითხების საფუძველზე, წარმოგიდგენთ სახალხო დამცველის რეკომენდაციებს, რაც მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტმა უნდა მისცეს მთავრობას ზემოაღნიშნულ საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სრულფასოვნად აღსრულების მიზნით.

<u>იდენტობის ჯგუფის საქმეებზე</u>

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის გზით განისაზღვროს სამართალდარღვევის დისკრიმინაციული მოტივი, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება;

- ჩატარდეს ინტენსიური საზოგადოებრივი კამპანიები დისკრიმინაციის საკითხებზე
  მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად;
- ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლების დასაცავად, მომავალში საჯარო პოლიტიკური თანამდებობის პირებმა გააკეთონ არაორაზროვანი და მკაფიო განცხადებები;
- გატარდეს ქმედითი პრევენციული და პროაქტიული ზომები ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლების დასაცავად;

<u>ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე</u>

- პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში სათვალთვალო კამერები დამონტაჟდეს ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა;
- დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვროს პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება;
- დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს პილოტურ რეჟიმში უზრუნველყოს პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში დაკავებული პირის დაკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღება.

<u>საქმეზე „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ:</u>

- საკანონმდებლო ცვლილებების გზით, განისაზღვროს სასამართლოს ვალდებულება უზრუნველყოს 7 წლამდე არასრულწლოვნის ჩართვა სასამართლო პროცესებში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განისაზღვროს შემთხვევები, როდესაც დაუშვებელია ბავშვის საპროცესო წარმომადგენელი იყოს ამავდროულად მისი კანონიერი წარმომადგენელი (ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, მაგალითად სახელწმიფო მზრუნველობაში მყოფ ბავშვებთან მიმართებით) და განისაზღვროს შესაბამისი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ბავშვის საპროცესო წარმომადგენლობას;

<u>საქმეზე მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ</u>

- დაიწყოს საქართველოს გენერალური პროკურატურის რეფორმა, გათვალისწინებული იქნას საპროკურორო საბჭოს კონსტიტუციური როლი და პროკურატურის ეფექტიანობის, დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მიენიჭოს მას შესაბამისი კომპეტენცია.